



ექთნის თანაშემწე

პროფესიული სტანდარტი

1. პროფესიის დასახელება (ქართულად):

ექთნის თანაშემწე

2. პროფესიის დასახელება (ინგლისურად):

Nursing Assistant

3. პროფესიული სტანდარტის კოდი: 090551

4. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი: 09102-ს

5. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით – 3231.

6. პროფესიის აღწერა:

ექთნის თანაშემწე არის სამედიცინო პერსონალი, რომელიც მუშაობს ექიმის/ექთნის მეთვალყურეობის ქვეშ და ფლობს მოსავლელი პირის/პაციენტის მოვლის ზოგად უნარებს. ზრუნავს როგორც პრაქტიკულად ჯანმრთელ (მელოგინე, ჩვილი და მცირეწლოვანი), ისე ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებების თუ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე და ტერმინალურ პაციენტებზე, ინდივიდუალური (ასაკობრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური) სპეციფიკის გათვალისწინებით.

7. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:

ექთნის თანაშემწეს სამუშაოს შესრულება უწევს სხვადასხვა დაწესებულებასა და სოციალურ გარემოში. მას შესაძლოა მოუწიოს სტრესულ გარემოში მუშაობა. სამუშაო საათები, რიგ შემთხვევაში, არანორმირებულია.

ექთნის თანაშემწის დასაქმების შესაძლებლობებია:

- სტაციონარი
- რეაბილიტაციის ცენტრები
- შინ მოვლა
- პანსიონატები (ბავშვთა, მიუსაფართა და მოხუცთა სახლები)
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები (ბაგა-ბაღი)
- ჰოსპისი
- მგზავრობა-მოგზაურობისას (თანმხლები პირი)

8. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:

- პროფესიული განათლება

9. კვალიფიკაციის დონე ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით:

მესამე

10. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

| № | პროფესიული მოვალეობა | პროფესიული ამოცანა |
|----|--|---|
| 1. | მოსავლელი პირის/ პაციენტის/ მორიგეობის მიღება/გადაბარება | 1.1. იღებს/გადასცემს ინფორმაციას მოსავლელი პირის/პაციენტის შესაცვლელ/შემცვლელ პირს 1.2. ადგენს სამუშაო გეგმას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე 1.3. ადგენს მოსავლელი პირის/პაციენტის მოსავლელად აუცილებელი რესურსების ჩამონათვალს 1.4. ეცნობა მოსავლელ პირს/პაციენტს და/ან მისი ოჯახის წევრს 1.5. აცნობს სამოქმედო გეგმას მოსავლელ |

| | | |
|----|--|--|
| | | პირს/პაციენტს და/ან მისი ოჯახის წევრებს |
| 2. | მოვლის უზრუნველყოფა | <p>2.1. უვლის მოსავლელ პირს/პაციენტს ექიმის/ექთნის დავალებით</p> <p>2.2. ეხმარება ექიმს/ექთანს საჭიროების შემთხვევაში</p> <p>2.3. აძლევს რეკომენდაციას მოსავლელ პირს/პაციენტსა და მისი ოჯახის წევრებს</p> <p>2.4. ახორციელებს პირველად გადაუდებელ დახმარებას</p> |
| 3. | ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა | <p>3.1. უზრუნველყოფს მოსავლელი პირის/პაციენტის პირადი ჰიგიენის დაცვას</p> <p>3.2. უზრუნველყოფს მოსავლელი პირის/პაციენტის პირადი მოხმარების ნივთების დასუფთავებას/დეზინფექციას</p> <p>3.3. უზრუნველყოფს მოსავლელი პირის/პაციენტის კვების ჰიგიენას კომპეტენციის ფარგლებში</p> <p>3.4. უზრუნველყოფს მოსავლელი პირის/პაციენტის გამონაყოფის გაუვნებლებას</p> <p>3.5. უზრუნველყოფს მოვლის პროცესის წარმართვისათვის საჭირო სამედიცინო ინვენტარის, ტექნიკისა და აპარატურის დასუფთავებას/დეზინფექციას</p> <p>3.6. უზრუნველყოფს მოსავლელი პირის/პაციენტისა და მისი ოჯახის წევრების გარემოს ჰიგიენას კომპეტენციის ფარგლებში</p> <p>3.7. ზრუნავს პირად ჰიგიენაზე</p> |
| 4. | კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, ექიმთან და სხვა მედპერსონალთან | <p>4.1. აწარმოებს მოლაპარაკებას პროფესიული თვალსაზრისით ზემდგომ პერსონალთან და კოლეგებთან სამუშაოს შესახებ</p> <p>4.2. აქტიურად უსმენს მოსავლელი პირს/პაციენტს, პაციენტის ოჯახის წევრებს, მკურნალ ექიმსა და სხვა მედპერსონალს</p> <p>4.3. იღებს/გასცემს ინფორმაციას სიტუაციიდან გამომდინარე</p> <p>4.4. აწარმოებს სათანადო კომუნიკაციას „პრობლემურ“ მომხმარებელთან</p> |
| 5. | პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა | <p>5.1. მონაწილეობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგში, სემინარებში, საზაფხულო/ზამთრის სკოლებში</p> <p>5.2. იძიებს ინფორმაციას პროფესიული ზრდისათვის</p> <p>5.3. იზიარებს კოლეგების პროფესიულ გამოცდილებას/რეკომენდაციებს</p> <p>5.4. ესწრება პროფესიული გადამზადების კურსებს</p> |

11. პიროვნული თვისებები:

- კეთილსინდისიერი
- კომუნიკაბელური
- პასუხისმგებლობის მქონე
- პუნქტუალური
- მზრუნველი
- ყურადღებიანი
- გულისხმიერი

12. ხელსაწყო-იარაღები, დანადგარები, მასალები:

ხელსაწყო-იარაღები: ყველა სახის ქირურგიული: ქირურგიული დანა, მაკრატელი, მიკულიჩი მომჭერი, გოსე-მუცლის ღრუს გამაგანიერებელი, ფარაბეფი-ჭრილობის გასაფარტოებელი, კაპიო - ქალის ძვლის გასახვრეტი იარაღი, სალნიკოვი - სისხლძარღვის დამჭერი სწორი, ალესკა-შარდის ბუმტის დამჭერი. სისხლძარღვის მომჭერი (სწორი და მოხრილი), დისექტორი, კოხერები, მაკრატელი, კორცანგი, ზედა და ქვედა სარკეები, პინცეტი (ქირურგიული, ანატომიური, ფანჯრიანი), დანის პირები, შპრიცები, ნემსდამჭერი, ხერხი, ფრეზა, ჩაქუჩი, კოვზი, ტყვიის მაშა, მაშები, ვაკუუმი და ყველა სახის ქირურგიული ინსტრუმენტი.

ინვენტარი: წნევის აპარატი, გლუკომეტრი, სტეტოსკოპი, ინფუზომატი, ქალის კარდიომონიტორი, კარდიოტოკოლიტი, შტატივი, ფუნქციური საწოლი, კიუვეზი, იარაღების მაგიდა, საოპერაციო მაგიდა, ტუმბო, ახალშობილის საწოლი, ბავშვის მაგიდა, ეტლი, ჯამები, თასები, თერმომეტრი, ბურთი, შვედური კედელი, საათი, ოთახის თერმომეტრი, სასწორი, სანტიმეტრი, საქაჩი, ლინეომატი, კონტეინერი ABC კლასის ნარჩენებისათვის, ლარინგოსკოპი, რენტგენის აპარატი, კოაგულაციის აპარატი, სტერილიზაციის აპარატი (ავტოკლავი, მშრალი კარადა, ქიმიური გასტერილება), კოაგულაციის აპარატი, ამოსაქაჩი აპარატი, რენტგენის აპარატი.

მასალა: დოლბანდი, ბამბა, ბინტი, მუშამბა, საიდენტიფიკაციო სამაჯური, სპირტი, ხსნარები, საფენები, პამპერსები, სველი ხელსახოცები, ერთჯერადი პაკეტი, ახალშობილის ტანსაცმელი, ნაწოლის ლეიბი, მუთაქები, ბალიშები, ზეწრები, ერთჯერადი და მრავალჯერადი ხალათები, პერანგები, საფენები, ნიღბები, ბაქილები, ქუდები, სტერილური და არასტერილური ხელთათმანები, შარდის ბუმტის კათეტერი, შარდის მიმღები, შპრიცები, ფიზიოლოგიური ხსნარი, თორაკალური კათეტერი, საკერავი მასალა: ძაფები (ვიკრილ-რაფიდი, აბრეშუმი და ა.შ.), აქტიური მილები, ჰემოსტატიური ღრუბელი, ძვლის ცვილი, თაბაშირი, ფიბერბლასტი (თაბაშირის შემცვლელი), პლევრობაკი (პლევრის ღრუდან სითხის ამომქაჩი), სტოპკოკი (ვენის კათეტერზე დასამაგრებელი "გამანაწილებელი" ერთდროულად რამოდენიმე ნივთიერების მისაერთებლად), პერფუზიის დამაგრებელი, ჟანგბადის ნიღბები, ერთჯერადი ბალონი, ამოსაქაჩი ზონდი, თვალის მალამო, ლეიკოპლასტიკი, ელასტიური ბინტი, შარდის მიმღები რეზერვუარი, თხევადი საპონი, პოლიეთილენის ერთჯერადი პარკები, ამომქაჩის ნაკრები.

13. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:

- ექთნის თანამემწისათვის დოკუმენტაციის წარმოების უფლებამოსილების მინიჭება;
- სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარება, ცვლილებები რეკომენდაციებში/მეთოდოლოგიებში;
- ცვლილებები მოვლის განხორციელების სტანდარტებსა და მეთოდოლოგიებში.

14. პროფესიული ცოდნა და უნარები:

| № | მოვალეობა | პროფესიული ცოდნა | პროფესიული უნარები |
|----|--|---|---|
| 1. | მოსავლელი პირის/პაციენტის/მორიგეობის მიღება/გადაბარება | <ul style="list-style-type: none"> • იცის სამუშაოს ჩაბარების/გადაბარების პროცედურული საფეხურები კომპეტენციის ფარგლებში • იცის სამუშაოს ჩაბარება/გადაბარებისას კომუნიკაციის მნიშვნელობა/აუცილებლობა კოლეგასთან • იცის ექიმის/ექთნის მიერ მისთვის გაწერილი სამუშაო რეკომენდაციის/ გეგმის მნიშვნელობა • იცის ექიმის/ექთნის მიერ მისთვის გაწერილი სამუშაო რეკომენდაციის/ გეგმის საფუძველზე საკუთარი | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია სამუშაოს ჩაბარების/გადაბარების პროცედურული თანმიმდევრობის დაცვა • შეუძლია ექიმის/ექთნის მიერ მისთვის გაწერილი სამუშაო რეკომენდაციის/გეგმის მნიშვნელობის შეფასება • შეუძლია ექიმის/ექთნის მიერ მისთვის გაწერილი სამუშაო რეკომენდაციის/გეგმის გაანალიზება • შეუძლია ექიმის/ექთნის მიერ მისთვის გაწერილი სამუშაო რეკომენდაციის/ გეგმის საფუძველზე საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა |

| | | | |
|----|-----------------------------------|--|--|
| | | <p>სამუშაო გეგმის შედგენის პრინციპები</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის წარმოების წესები • იცის საჭირო რესურსების სახეობები და მათი მნიშვნელობა • იცის საჭირო რესურსის განლაგება შესასრულებელი სამუშაოს საფუძველზე • იცის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის პრინციპები • იცის სამედიცინო ტერმინოლოგია კომპეტენციის ფარგლებში • იცის კომუნიკაციის როლი მოვლის საქმეში • იცის სამოქმედო გეგმა • იცის მოვლის საქმის შემადგენელი ელემენტები | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის წარმოება • შეუძლია არსებული ინფორმაციის საფუძველზე საჭირო რესურსის განსაზღვრა • შეუძლია საჭირო რესურსის განსაზღვრა ხარჯთაღრიცხვისა და მოვლის საჭიროებების საფუძველზე • შეუძლია საჭირო რესურსის მართებულად განლაგება შესასრულებელი სამუშაოს საფუძველზე • შეუძლია ეფექტიანი კომუნიკაცია პაციენტთან/ მოსავლელ პირთან და/ან მისი ოჯახის წევრთან • შეუძლია სამედიცინო ტერმინოლოგიის მართებულად გამოყენება • შეუძლია თავისი სამოქმედო გეგმის გარკვევით და დამაჯერებლად ახსნა |
| 2. | <p>მოვლის უზრუნველყოფა</p> | <ul style="list-style-type: none"> • იცის ექიმის/ექთნის მიერ დაგეგმილი დავალების ზუსტი შესრულების მნიშვნელობა • იცის ექიმის/ექთნის მიერ დაგეგმილი დავალების თანმიმდევრობა • იცის პროფესიონალური მოვლის თეორიები და მოდელები • იცის მოვლის საქმის თეორიული საფუძვლები, კონცეფცია და პრინციპები • იცის მოვლის ამოცანები და საბაზო ელემენტები • იცის მოვლის სახეები და დონეები (კომპეტენციების განსაზღვრით) • იცის ე.წ. პერსონალური მოვლის ელემენტები • იცის ყველანაირი სირთულის მოსავლელი პირის კვების თავისებურებები • იცის ხელოვნური კვების პრინციპები • იცის ყველანაირი სირთულის პაციენტის დაბანა და აბაჯანის მომზადების წესები | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ექიმის/ექთნის მიერ დაგეგმილი დავალების ზუსტი შესრულების მნიშვნელობის შეფასება • შეუძლია პროფესიონალური მოვლის თეორიებისა და მოდელების სწავლა • შეუძლია მოვლის საქმის თეორიულ საფუძვლებში, კონცეფციასა და პრინციპებში გარკვევა • შეუძლია მოვლის პროცესის განხორციელება პაციენტის/მოსავლელი პირის შემდეგი თავისებურებების გათვალისწინებით: მენტალური, კოგნიტური, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, ასაკობრივი თავისებურებები და დაავადებები • შეუძლია მოსავლელი პირის/პაციენტის დახმარება ცხოვრებისეული აქტივობების განხორციელებაში • შეუძლია მოსავლელი პირის/პაციენტის სიცოცხლის ბოლო პერიოდის შემსუბუქება (მაგ. პალიატივი) • შეუძლია მოსავლელი |

| | | | |
|--|--|--|--|
| | | <ul style="list-style-type: none"> • იცის ყველა სირთულის პაციენტის ჩაცმის თავისებურებები • იცის პაციენტის მოვლის წესები ფიზიოლოგიური თუ უნებლიე შარდვისა და დეფეკაციის დროს • იცის მოვლის საქმე მოსავლელი პირის ინდივიდუალური (მენტალური, კოგნიტიური, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, ასაკობრივი და დაავადების) თავისებურებების გათვალისწინებით • იცის მოვლის საქმის წარმოება სხვადასხვა სოციალურ გარემოში: სტაციონარში, ბინის პირობებში თუ მგზავრობა-მოგზაურობისას • იცის მოსავლელი პირის/პაციენტის დახმარების ფორმები ყოველდღიური აქტიურობების განხორციელებაში • იცის ინკურაბელური ავადმყოფის პალიატიური მოვლის პრინციპები • იცის თერაპიული ავადმყოფის მოვლის პრინციპები • იცის ქირურგიული პაციენტის მოვლის პრინციპები • იცის ნევროლოგიური პაციენტის მოვლის პრინციპები • იცის ტრავმირებული პაციენტის მოვლის პრინციპები • იცის მელოგინის მოვლის პრინციპები • იცის ბავშვთა ასაკის პაციენტის მოვლის პრინციპები ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით • იცის ზრდასრულის მოვლის პრინციპები ასაკობრივი | <p>პირის/პაციენტის მომზადება ტრანსპორტირებისა და მგზავრობისათვის/გადაყვანისათვის</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მოქმედება თანამედროვე სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობით • საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ექიმის/ექთნის დახმარება • შეუძლია რეკომენდაციის გაწევა მოსავლელი პირის/პაციენტისა და მისი ოჯახის წევრებისათვის • შეუძლია კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციის მიცემა მოსავლელი პირისათვის/პაციენტისათვის, თუ როგორ მოუაროს საკუთარ თავს დამოუკიდებლად • შეუძლია მოსავლელ პირს/პაციენტს, მისი ოჯახის წევრს გაუწიოს რეკომენდაცია ნაწოლის, ტრავმის პრევენციული ღონისძიებების შესახებ კომპეტენციის ფარგლებში • შეუძლია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საჭიროების განსაზღვრა • შეუძლია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა |
|--|--|--|--|

| | | | |
|--|--|--|--|
| | | <p>თავისებურების გათვალისწინებით</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის მოვლის პროცესში მოსავლელი პირისათვის/პაციენტისათვის მაქსიმალურად კომფორტული და პრივატული გარემოს შექმნის მნიშვნელობა • იცის მოვლის პროცესში მოსავლელი პირისათვის/პაციენტისათვის მაქსიმალურად კომფორტული და პრივატული გარემოს მიღწევის გზები • იცის მოსავლელი პირის/პაციენტის მომზადების ნორმები ტრანსპორტირებისა და მგზავრობისათვის/ გადაყვანისათვის • იცის მოსავლელი პირის/პაციენტის მოვლის თავისებურებები ტრანსპორტირებისა და მგზავრობისას/გადაყვანისას • იცის კინესთეტიკის ნორმები • იცის თანამედროვე სამედიცინო საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით მარეგულირებელი ნორმები • იცის ექთნის თანაშემწის მორალურ-ეთიკური ნორმები • იცის პაციენტის უფლებები • იცის საჭიროების შემთხვევაში ექიმის/ ექთნის დახმარების წესები • იცის პერიფერიული ვენის კათეტერიზაციის წესები • იცის დაინფიცირებული ჭრილობის დამუშავების მოთხოვნები • იცის წყლულებისა და ნაწოლის დამუშავების წესები • იცის ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმის წესები • იცის სტომისა და ზონდის მოვლის პრინციპები | |
|--|--|--|--|

| | | | |
|----|--|---|--|
| | | <ul style="list-style-type: none"> • იცის დესმურგია • იცის ოყნის გაკეთების ნორმები • იცის კომპეტენციის ფარგლებში, რა ტიპის რეკომენდაცია უნდა მისცეს მოსავლელ პირს/პაციენტს • იცის საკუთარი თავის დამოუკიდებლად მოვლა • იცის ყოველდღიური აქტიურობების განხორციელების ნორმები • იცის კომპეტენციის ფარგლებში, რა რეკომენდაცია მისცეს მოსავლელი პირის/პაციენტის ოჯახის წევრებს ნაწოლის, ტრავმის პრევენციული ღონისძიებების შესახებ • იცის პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებების კლინიკური გამოვლინებები • იცის პირველადი დახმარების ნორმები არსებული ალგორითმების მიხედვით | |
| 3. | <p>ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების დაცვა</p> | <ul style="list-style-type: none"> • იცის მოსავლელი პირის/პაციენტის კანის, ლორწოვანის, პირის ღრუს, ტანის, თმის, თვალების, ყურების, ფრჩხილების, ფეხისა და სასქესო ორგანოების ჰიგიენის დაცვის მეთოდები • იცის მწოლიარე მოსავლელი პირის/პაციენტის სხეულის ჰიგიენური მოვლის ნორმები, ასაკის, წონისა და დაავადების გათვალისწინებით (გონზე მყოფი) • იცის უგონო მდგომარეობაში მყოფი მოსავლელი პირის/პაციენტის პირადი ჰიგიენის დაცვის მეთოდები • იცის დაბანის მნიშვნელობა და სახეები • იცის მწოლიარე ადამიანის მთლიანი და ნაწილობრივი | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მოსავლელი პირის/პაციენტის კანის, ლორწოვანის, პირის ღრუს, ტანის, თმის, თვალების, ყურების, ფრჩხილების, ფეხისა და სასქესო ორგანოების ჰიგიენის დაცვა • შეუძლია მწოლიარე მოსავლელი პირის/პაციენტის სხეულის ჰიგიენური მოვლა: ასაკის, წონისა და დაავადების გათვალისწინებით (გონზე მყოფი) • შეუძლია უგონო მდგომარეობაში მყოფი მოსავლელი პირის/პაციენტის ჰიგიენის დაცვა • შეუძლია მოსავლელი პირის/პაციენტის პირადი ნივთების ჰიგიენის დაცვა • შეუძლია მოსავლელი პირის/პაციენტის (მწოლიარე) ტანსაცმლისა და თეთრეულის სანიტარიული დამუშავება • შეუძლია საწოლთან არსებული ინვენტარის გამოყენებისა და |

| | | | |
|--|--|---|---|
| | | <p>დაბანის მეთოდები საწოლში</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის საჭირო მასალის მომზადების წესები • იცის დაბანის მართებული თანმიმდევრობა • იცის თავის დაბანა და ფეხების აბაზანის მომზადების წესები წოლით მწოლიარე პაციენტისათვის • იცის ტანსაცმლის შერჩევისა და ჩაცმის მეთოდები მწოლიარე პაციენტისათვის • იცის მოსავლელი პირის/პაციენტის (მწოლიარე) ტანსაცმლისა და თეთრეულის სანიტარიული დამუშავების წესები • იცის საწოლთან არსებული ინვენტარის გამოყენებისა და დასუფთავების წესები (მწოლიარე) • იცის მოსავლელი პირის/პაციენტის პირადი ნივთების ჰიგიენის კონტროლის მექანიზმები კორექტივების შეტანით • იცის მოსავლელი პირის/პაციენტის სახის, ხელების, პირის ღრუს სანაციის მეთოდები საკვების მიღებამდე და მიღების შემდეგ • იცის კვების საგნებისა და სადილის ჭურჭლის დამუშავების პრინციპები (რეცხვა, დეზინფექცია, ადუღება, გაშრობა) • იცის საკვების შენახვის ჰიგიენური მეთოდები • იცის გამონაყოფისათვის სპეციალური ჭურჭლის მომზადების წესები • იცის გამონაყოფის შეგოვების შესაბამისი წესები დაცვით • იცის გამონაყოფის ჭურჭლის სანიტარიული დამუშავება შესაბამისი წესების დაცვით • იცის სამედიცინო ინვენტარისა და აპარატურის გამოყენების პრინციპები ჰიგიენის სათანადო წესების | <p>დასუფთავების წესების დაცვა (მწოლიარე)</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია მოსავლელი პირის/პაციენტის პირადი ნივთების ჰიგიენის კონტროლი კორექტივების შეტანით • შეუძლია მოსავლელი პირის/პაციენტის კვების ჰიგიენის დაცვა კომპეტენციის ფარგლებში • შეუძლია მოსავლელი პირის/პაციენტის გამონაყოფის ჰიგიენის დაცვა • შეუძლია სამედიცინო ინვენტარისა და აპარატურის ჰიგიენის სათანადო წესების დაცვით გამოყენება • შეუძლია კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო ინვენტარისა და აპარატურის გამოყენება როგორც პაციენტის/მოსავლელი პირის, ისე საკუთარი თავის უსაფრთხოების პრევენციით • შეუძლია ასეპტიკა/ანტისეპ-ტიკის წესების დაცვა • შეუძლია სანიტარიულ-ჰიგიენური ეპიდსაწინააღმდეგო წესების დაცვა • შეუძლია საჭირო რესურსების დეზინფექცია და წინა სასტერილიზაციო დამუშავება (ხელსაწყო, მასალა, ინვენტარი) • შეუძლია დეზინფექცია ხსნარების დამზადების წესების დაცვით • შეუძლია კომპეტენციის ფარგლებში მოსავლელი პირის/პაციენტის ოჯახის წევრების, საკუთარი თავისა და სხვა მედპერსონალის უსაფრთხოების (ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებები, საიზოლაციო ღონისძიებები და სხვ.) უზრუნველყოფა (ინფექცია) • შეუძლია სამედიცინო უნიფორმის გამოყენება სიტუაციის შესაბამისად • შეუძლია ხელის ჰიგიენური დამუშავება • შეუძლია პირადი ჰიგიენის დაცვა |
|--|--|---|---|

| | | | |
|--|--|--|---|
| | | <p>დაცვით</p> <ul style="list-style-type: none"> • იცის სამედიცინო იარაღის კლასიფიკაციის მიხედვით შესაბამისი სასტერილიზაციო აპარატში (ავტოკლავი, მშრალი კარადა, ქიმიური) გასტერილების წესები • იცის კომპეტენციის ფარგლებში სამედიცინო ინვენტარისა და აპარატურის გამოყენების წესები როგორც პაციენტის/მოსავლელი პირის, ისე საკუთარი თავის უსაფრთხოების პრევენციის მიზნით • იცის ასეპტიკა/ანტისეპტიკის წესები • იცის სანიტარიულ-ჰიგიენური ეპიდსაწინააღმდეგო წესები • იცის საჭირო რესურსების დეზინფექციისა და წინა სასტერილიზაციო დამუშავების პრინციპები (ხელსაწყო, მასალა, ინვენტარი) • იცის დეზინფექციის ხსნარები • იცის დეზინფექციის ხსნარების დამზადების წესები • იცის პაციენტის/მოსავლელი პირის ოჯახის წევრების, საკუთარი თავისა და სხვა მედპერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრინციპები კომპეტენციის ფარგლებში (ინდივიდუალური თავდაცვის საშუალებები, საიზოლაციო ღონისძიებები და სხვ.) • იცის სამედიცინო უნიფორმის დანიშნულება • იცის შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისი სამედიცინო უნიფორმის თავისებურებები | <p>შენაგანაწესისა და საერთაშორისო ნორმების მიხედვით</p> |
|--|--|--|---|

| | | | |
|----|--|---|--|
| | | <ul style="list-style-type: none"> • იცის უნიფორმის გამოყენების წესები • იცის ხელის დამუშავების წესები • იცის პირადი ჰიგიენის სანიტარიულ-ჰიგიენური სტანდარტი (ადგილობრივი და საერთაშორისო) | |
| 4. | კომუნიკაცია პაციენტთან, პაციენტის ოჯახის წევრებთან, ექიმთან და სხვა მედპერსონალთან | <ul style="list-style-type: none"> • იცის ექიმთან/ექთანთან თუ კოლეგასთან საკუთარი სამუშაოს შესახებ მოლაპარაკების წარმართვის პრონციპები • იცის მოსავლელი პირის/პაციენტის, პაციენტის ოჯახის წევრების, მკურნალი ექიმისა და სხვა მედპერსონალის „აქტიური მოსმენის“ წესები • იცის ინფორმაციის გაცემისას ინფორმაციის მნიშვნელობის, გარემოსა და მოსაუბრის გათვალისწინების აუცილებლობა • იცის ინფორმაციის კონფიდენციალობის მნიშვნელობა • იცის „პრობლემური“ მომხმარებლის თავისებურებები • იცის „პრობლემური“ მომხმარებლის (მოსავლელი პირი/პაციენტი თუ მოსავლელი პირის/პაციენტის ოჯახის წევრი) მდგომარეობის გათვალისწინების ფორმები • იცის მოვლის პროცესში „პრობლემურ“ მომხმარებელთან (მოსავლელი პირი/პაციენტი თუ (მოსავლელი პირი/პაციენტის ოჯახის წევრი) კომუნიკაციისას ქცევის სტრატეგიის ჩამოყალიბების ფორმები | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საკუთარი სამუშაოს შესახებ ექიმთან/ექთანთან თუ კოლეგასთან მოლაპარაკების წარმართვა • შეუძლია ექიმთან/ექთანთან თუ კოლეგასთან კომუნიკაციის მნიშვნელობის განსაზღვრა • შეუძლია ყურადღებით მოსმენა • შეუძლია მოსმენილის გააზრება • შეუძლია საჭიროების შემთხვევაში საკითხის დაზუსტება • შეუძლია მართებულად განსაზღვროს, ვის მიმართოს რჩევითვის პრობლემიდან გამომდინარე • შეუძლია გარკვევით ახსნას პრობლემა • შეუძლია ინფორმაციის გაცემის/მიღებისას არსებული სიტუაციის, მოსაუბრის შეფასება/გათვალისწინება • შეუძლია ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა • შეუძლია განსაზღვროს „პრობლემური“ მომხმარებელი: პაციენტი თუ მოსავლელი პირის/პაციენტის ოჯახის წევრი • შეუძლია „პრობლემური“ მომხმარებლის (პაციენტი/მოსავლელი პირი თუ პაციენტის/მოსავლელი პირის ოჯახის წევრი) მდგომარეობის შეფასება • შეუძლია მოვლის პროცესში „პრობლემურ“ მომხმარებელთან (მოსავლელი პირი/პაციენტი თუ მოსავლელი პირის/პაციენტის ოჯახის წევრი) ურთიერთობისას ქცევის სტრატეგიის ჩამოყალიბება |
| 5. | პროფესიული განვითარებისათვის ზრუნვა | <ul style="list-style-type: none"> • იცის პროფესიული განვითარების აუცილებლობა და მნიშვნელობა | <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება • შეუძლია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების, |

| | | | |
|--|--|--|---|
| | | <ul style="list-style-type: none"> • იცის კვალიფიკაციის ამაღლების ხერხები • იცის ტრენინგში, სემინარებში, საზაფხულო/ზამთრის სკოლებში მონაწილეობის აუცილებლობა • იცის „პროფესიული“ ინფორმაციის მნიშვნელობა • იცის თანამედროვე ტექნოლოგიები და მათი გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების ფორმები • იცის, ვის მიმართოს სამუშაოსთან დაკავშირებით არსებული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად • იცის, ვის მიმართოს პრობლემის შესაბამისი რეკომენდაციის მისაღებად • იცნობს არსებულ შრომის ბაზარს • იცის სხვადასხვა მიმართულებით პროფესიული გადამზადების არსებული კურსები • იცის პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანების მნიშვნელობა. | <p>სემინარების, საზაფხულო/ზამთრის სკოლების მოძიება და დასწრება/მონაწილეობა</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ინტერნეტის საშუალებით პროფესიის შესაბამისი ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიება • შეუძლია რეკომენდაციის საჭიროების განსაზღვრა • შეუძლია არსებულ შრომით ბაზარზე საკუთარი თავის მაქსიმალური რეალიზაციის შესაძლებლობების შეფასება • შეუძლია შრომით ბაზარზე საკუთარი თავის მაქსიმალურად რეალიზაციის გზების გამონახვა • შეუძლია პროფესიულ ორგანიზაციებში გაწევრიანების მიზნის განსაზღვრა • შეუძლია პროფესიული ორგანიზაციების მოძიება და გაწევრიანება. |
|--|--|--|---|

15. სტანდარტის მოქმედების ვადა:

2 წელი.

16. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:

| № | სახელი, გვარი | ორგანიზაცია, პოზიცია |
|----|-----------------------|--|
| 1. | ნათია ნოლაიძელი | საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი |
| 2. | ნონა შარაშენიძე | ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, ექთნის ასისტენტი |
| 3. | სოფიო სულაბერიძე | „მედიკლაბჯორჯია“, ექთნის ასისტენტი |
| 4. | ეკატერინე სამუნაშვილი | მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, ექთნის ასისტენტი |
| 5. | ნელი ციკოლია | სსიპ – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი, ექთნის ასისტენტი |
| 6. | მაია ფრეწუაშვილი | შპს ამტელ ჰოსპიტალ პირველი კლინიკური, ექთნის ასისტენტი |

| | | |
|-----|--------------------|--|
| 7. | ნინო ბატონისაშვილი | შპს „ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკა“, საოპერაციო ექთნის ასისტენტი |
| 8. | ლელა შავაძე | საქველმოქმედო ფონდი ა(ა)იპ – სოციალური პარტნიორობა, შინ მოვლის ექთნის ასისტენტი |
| 9. | ქრისტინე ქობულაძე | აკად. ნ. ყიფშიძის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა, ექთნის ასისტენტი |
| 10. | თამარ გორგაძე | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი |
| 11. | ნინო ბალანჩივაძე | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ექსპერტ-ფასილიტატორი |

შეფასების სტანდარტი

პროფესიის დასახელება: ექთნის თანაშემწე

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია

სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლებისა და/ან არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი ეფუძნება კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს. ის განსაზღვრავს სტანდარტში ასახული პროფესიული ცოდნისა და უნარების შეფასებისა და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების ტერმინებში;
2. კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებშიც ასახულია აუცილებელი პროფესიული ცოდნა და უნარები;
3. კომპეტენციების დადასტურებისათვის გამოყენებულ მტკიცებულებებს.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს შეფასების პროცესის განხორციელების მიდგომებს.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

არაფორმალური განათლების აღიარების მიზნებისათვის გამოიყენება წინამდებარე დოკუმენტის მესამე ნაწილში (ნაწილი 3. შეფასების პროცესი და კომპონენტები) აღწერილი პროცედურები. შედეგები აისახება თანდართულ ფორმებში, რომლებიც დანართის სახით ახლავს დოკუმენტს.

ნაწილი 2. შეფასების კრიტერიუმები

| პროფესიული ამოცანა | შეფასების კრიტერიუმები |
|--|---|
| პროფესიული მოვალეობა 1: პირის/პაციენტის/მორიგეობის მიღება-გადაბარება | |
| 1.1. იღებს/გადასცემს ინფორმაციას შესაცვლელ/ შემცვლელ პირს მოსავლელი პირის/პაციენტის შესახებ | 1.1.1. აღწერს მოსავლელი პირის/პაციენტის ჩაბარება/გადაბარების პროცედურული საფეხურების თანმიმდევრობას |
| | 1.1.2. მოსავლელი პირის/პაციენტის ჩაბარება/გადაბარებისას იცავს შესაბამისი პროცედურული საფეხურების თანმიმდევრობას |
| | 1.1.3. იღებს/აწვდის ინფორმაციას მოსავლელი პირის/პაციენტის მდგომარეობის შესახებ |
| 1.2. კომპეტენციის ფარგლებში აწარმოებს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციას (პირადი/პაციენტის) | 1.2.1. სწორად აღწერს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის წარმოების წესს |
| | 1.2.2. აწარმოებს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციას ადგილზე არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში |
| 1.3. განსაზღვრავს აუცილებელ რესურსებს მოსავლელი პირის / პაციენტის მოვლის საჭიროებების საფუძველზე | 1.3.1. ზუსტად აყალიბებს მოვლის საშუალებების დანიშნულებას და გამოყენების წესებს |
| | 1.3.2. განსაზღვრავს საჭირო რესურსს ხარჯაღრიცხვის და მოვლის საჭიროებების საფუძველზე |
| | 1.3.3. უზრუნველყოფს საჭირო რესურსის მოგროვებას |
| | 1.3.4. უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით მოპოვებული რესურსების სწორ განლაგებას |
| 1.4. აყალიბებს სამუშაო გეგმას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კომპეტენციის ფარგლებში | 1.4.1. ეცნობა ექიმის/ექთნის მიერ მისთვის გაწერილ სამუშაო რეკომენდაციას/გეგმას |
| | 1.4.2. განსაზღვრავს მოვლის ეტაპებს/მიზნებს და აუცილებელ რესურსებს მოვლის შერჩეული კონცეფციის საფუძველზე |
| | 1.4.3. ალაგებს შესასრულებელ საქმიანობას პრიორიტეტებს მიხედვით |
| | 1.4.4. აყალიბებს სამოქმედო გეგმას ექიმის/ექთნის მიერ მისთვის გაწერილი სამუშაო რეკომენდაცია/გეგმის საფუძველზე |
| 1.5. ეცნობა პაციენტს/მოსავლელ პირს და/ან მისი ოჯახის წევრს | 1.5.1. შინაგანაწესის მიხედვით წარუდგება პაციენტს/მოსავლელ პირს და მისი ოჯახის წევრებს |
| | 1.5.2. აწარმოებს პროფესიულ კომუნიკაციას |
| | 1.5.3. ინსტრუქციის მიხედვით ახორციელებს კოორდინაციას მულტიდისციპლინურ გუნდთან |
| 1.6. აცნობს სამოქმედო გეგმას მოსავლელ პირს / პაციენტს და/ან მისი ოჯახის წევრებს | 1.6.1. წარდგენს შემდეგ პაციენტს/მოსავლელ პირს და მისი ოჯახის წევრებს აცნობს სამოქმედო გეგმაში შემავალ მოვლის ელემენტებს |

| | |
|---|---|
| | 1.6.2. საჭიროების/მოთხოვნის შემთხვევაში უხსნის მოვლის ელემენტებს და მის შედეგებს |
| პროფესიული მოვალეობა 2: მოვლის უზრუნველყოფა | |
| 2.1. ასრულებს ექიმის/ექთნის გეგმიურ დავალებებს | 2.1.1. ზუსტად ასრულებს ექიმის/ექთნის მიერ დაგეგმილ დავალებას |
| | 2.1.2. შინაგანაწესის მიხედვით ექიმის/ექთნის მიერ დაგეგმილი სამუშაოს აცდენის შემთხვევაში (მაგ: პაციენტის/მოსავლელი პირის მიერ კვების აღკვეთა, დაბანაზე უარის თქმა, და ა.) აცნობებს ექიმს/ექთანს/შემცვლელს ზეპირი, ან წერილობითი ფორმით |
| 2.2. უვლის პაციენტს/მოსავლელ პირს ექიმის/ექთნის დავალების მიხედვით, ფიზიკური საჭიროებების გათვალისწინებით | 2.2.1. წარმართავს მოვლის პროცესს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: ყოველდღიური აქტივობები, ცხოვრების ფაზები, სხვაზე დამოკიდებულება - დამოუკიდებლობა და სხვა ფიზიოლოგიური, სოციალურ-კულტურული თუ პოლიტიკურ - ეკონომიური ფაქტორები |
| | 2.2.2. ახორციელებს მოვლის პროცესს პაციენტის/მოსავლელი პირის მენტალური, კოგნიტიური, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური, ასაკობრივი, თუ დაავადებით გამოწვეული თავისებურებების გათვალისწინებით |
